ოქმი N6

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2026 წლის 28 მაისი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 23 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა ქაჯაია - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

2. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: მ. ქარდავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე);

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

4. „შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების“ ლიკვიდაციისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

6. „შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ ლიკვიდაციისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0,
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიმდინარე საკრებულოს სხდომას, ოჯახური პირობების გამო ვერ ესწრებოდა, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე (მ. თათარიშვილი), გამომდინარე აქედან, პირველ საკითხს წარმოადგენდა, ამავე კომისიის უხუცესი წევრი აკაკი ხურცილავა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ა. ხურცილავა - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის უხუცესი წევრი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებთ (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილების მე-3 მუხლი განმარტავს შემდეგს: „საკრებულოს წევრს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვიურად აუნაზაღაურდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული სხვადასხვა ხარჯები (ტრანსპორტირების (საწვავის) და ამომრჩევლებთან კომუნიკაციის (მობილური ტელეფონით სარგებლობის) ხარჯები), რაზედაც გაწეული ხარჯის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრისათვის საკრებულოს აპარატის უფროსის სახელზე წარმოადგენს განცხადებას ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებთან და ამომრჩევლებთან შეხვედრის საოქმო ჩანაწერთან ერთად, არაუგვიანეს ყოველი თვის პირველი რიცხვისა.“ დადგენილების ამ მუხლის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან, არაუგვიანეს ყოველი თვის პირველი რიცხვისა,

განცხადებასთან ერთად საკრებულოს აპარატის უფროსს წარუდგინონ ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც უმეტეს შემთხვევაში არ ხორციელდება და საკრებულოს წევრების მხრიდან განცხადებები წარმოდგენილია ხოლმე თვის 5 რიცხვისთვის. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია დადგენილების მე-3 მუხლში შეტანილ იქნეს ცვლილება და განცხადების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ყოველი თვის ხუთი რიცხვი, შესაბამისი ცვლილება უნდა განხორციელდეს დადგენილების მე-5 მუხლშიც, სადაც აღნიშნულია, რომ ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ყოველი თვის არაუგვიანეს ხუთი რიცხვისა და ეს ვადა უნდა განისაზღვროს ყოველი თვის 10 რიცხვით. ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –23, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N8 ოქმს თან ერთვის)

2. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: მ. ქარდავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე)

მოისმინეს: მ. ქარდავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებთ (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე მ. ლემონჯავა განცხადებით ითხოვს ფრაქციის თავმჯდომარისთვის გამოყოფილი საწვავის ლიმიტის ფარგლებში დიზელის ბენზინით ჩანაცვლებას. კომისიის მხრიდან შესწავლილ იქნა ზემო აღნიშნული წინადადება და ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა განკარგულების პროექტი: „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –23, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N14 ოქმს თან ერთვის)

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და მე-4 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“ და იგი ფუნქციონირებს როგორც სამეწარმეო იურიდიული პირი, რომლის ძირითადი მიზანია საქმიანობის შედეგად მოგების მიღება. მერიის განმარტებით შპს-ის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს სამეწარმეო მიზნების სრულფასოვან განხორციელებას. მისი ფუნქციური დატვირთვა და საქმიანობის სპეციფიკა ძირითადად მიმართულია მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურების - წყალმომარაგების უზრუნველყოფაზე, რაც არსებითად წარმოადგენს სოციალური და საზოგადოებრივი ინტერესის მნიშვნელოვან სფეროს და შპს-ის საქმიანობა ძირითადად სუბსიდირებულია მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამასთან, მოქმედი ტარიფები, ხარჯების სტრუქტურა და ინფრასტრუქტურული საჭიროებები არ იძლევა შესაძლებლობას ორგანიზაციამ მიიღოს შესაბამისი ფინანსური მოგება. შესაბამისად, შპს-ის ფორმატში ფუნქციონირება არ არის ეფექტიანი და ვერ პასუხობს მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ ამოცანებს. აღნიშნული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან აუდიტორული შემოწმების დროსაც რამოდენიმეჯერ აღინიშნა. ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამეწარმეო საზოგადოება შეიძლება გარდაიქმნას მხოლოდ სხვა სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოებად, მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნდეს ახალი კერძო სამართლის იურიდიული პირი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, რომლის უფლებამოსილებად განისაზღვრება ანალოგიური ფუნქციები, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით არსებული „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“ დაექვემდებაროს ლიკვიდაციას ახალი იურიდიული პირის დაფუძნების, ორგანიზაციული საკითხების

მოწესრიგებისა და სრულად ამოქმედების შემდგომ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ და „შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების“ ლიკვიდაციისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –23, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N15 ოქმს თან ერთვის)

4. „შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების“ ლიკვიდაციისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების“ ლიკვიდაციისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –23, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N16 ოქმს თან ერთვის)

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და მე-6 საკითხთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ და იგი ფუნქციონირებს როგორც სამეწარმეო იურიდიული პირი, რომლის ძირითადი მიზანია საქმიანობის შედეგად მოგების მიღება. მერიის განმარტებით შპს-ის ძირითად საქმიანობას დაფუძნებისას წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების და ნარჩენების გატანის მომსახურება, რასაც დროთა განმავლობაში მუნიციპალიტეტის საჭიროებების მიხედვით სხვადასხვა ფუნქციებიც დაემატა. დღეის მდგომარეობით, შპს-ის საქმიანობა ვერ ამართლებს როგორც მის სახელწოდებას, ასევე სამართლებრივ ფორმასაც, რადგან იურიდიული პირი ფაქტობრივად არ შეესაბამება სამეწარმეო სუბიექტისთვის დამახასიათებელ, მოგებაზე ორიენტირებული საწარმოს პრინციპებს. აღნიშნული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან აუდიტორული შემოწმების დროსაც რამოდენიმეჯერ აღინიშნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნდეს ახალი კერძო სამართლის იურიდიული პირი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით,

რომლის უფლებამოსილებად განისაზღვრება სხვადასხვა მუნიციპალური სერვისი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით არსებული „ხობი დასუფთავება და განათება“ დაექვემდებაროს ლიკვიდაციას. ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამეწარმეო საზოგადოება შეიძლება გარდაიქმნას მხოლოდ სხვა სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოებად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მუნიციპალიტეტის მხრიდან დაფუძნდეს ახალი კერძო სამართლის იურიდიული პირი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, რომლის უფლებამოსილებად განისაზღვრება ანალოგიური და ასევე ახალი, დამატებითი ფუნქციებიც, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით არსებული „ხობი დასუფთავება და განათება“ დაექვემდებაროს ლიკვიდაციას ახალი იურიდიული პირის დაფუძნების, ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებისა და სრულად ამოქმედების შემდგომ. ახალი კერძო სამართლის იურიდიული პირი სრულად იქნება ორიენტირებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და ზოგადად, საზოგადოებრივ ინტერესებზე და მის ფუნქციებად განისაზღვრება ისეთი სახის მუნიციპალური სერვისები, რომელიც მუნიციპალიტეტის სხვა იურიდიული პირის უფლებამოსილებას არ წარმოადგენს (მაგ: კომუნალური და საზოგადოებრივი სერვისები, მათ შორის: ნარჩენების მართვა, საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა, გამწვანება, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მცირე სარემონტო და ტექნიკური მომსახურება, გარე განათების მოვლა-პატრონობა, შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვა და მსგავსი), რის საფუძველზეც ასევე სრულად იქნება უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის უფლებამისოლებების განხორციელება სხვადასხვა მიმართულებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ და „შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ ლიკვიდაციისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –23, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N17 ოქმს თან ერთვის)

6. „შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ ლიკვიდაციისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „შპს „ხობი დასუფთავება და განათების“ ლიკვიდაციისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე –23, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N18 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: გოჩა ქაჯაია

მეექვსე მოწვევის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისი სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. გოჩა ქაჯაია
2. მამუკა ქარდავა
3. გივი ლატარია
4. დოდო გაბუნია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მიმოზა ლემონჯავა
8. ივერი ბერიძე
9. ნუგზარ შუშანია
10. ირაკლი სახურია
11. აკაკი ხურცილავა
12. გიორგი გოგოხია13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. ზვიადი სულამანიძე
16. მზია ლემონჯარია
17. გია წულაია
18. ზაზა ალექსანდრია
19. გაიოზ ქირია
20. ირაკლი ალანია
21. გიგა კაპანაძე
22. გურამი ქირია
23. ლაშა ცატავა